აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 33

4 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

№83/6 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის სულიკო მიქელაძის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვადგენ:

1. შეუწყდეს უფლებამოსილება ხელვაჩაურის №83/6 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს სულიკო მიქელაძეს პირადი განცხადების საფუძველზე.
2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.
3. ეს განკარგულება ამოქმედდეს დაუყოვნებლივ.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა